საქართველოს საარჩევნო კოდექსის ემპირიული ველის მიმოხილვა 2020-2024 საპარლამენტო არჩევნების ფონზე

გიორგი გოგოხია
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის, სოციალურ და ჰუმანიტარული მეცნიერებების დოქტორანტი

https://doi.org/10.52340/gbsab.2025.55.02

საკვანძო სიტყვები: საპარლამენტო არჩევნები, ტექნიკური ასპექტები, პროპორციული, მოდელი. .

2020 და 2024 წლების საპარლამენტო არჩევნებს შორის უმნიშვნელოვანესი განსხვავება მათ შინაარსში მდგომარეობს. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები აერთიანებს მაჟორიტარულ და პროპორციულ სისტემებს. აღსანიშნავია ის სამართლებრივი გარემოება, რომ ამჯერად 150 საპარლამენტო მანდატიდან 120 გადანაწილდა პროპორციული, ხოლო 30 მაჟორიტარული წესით. საქართველოს საარჩევნო კოდექსში, რომელიც მიღებულია 2012 წლის 1 იანვარს, 2020 წლის 2 ივლისის მიღებულ იქნა ცვლილება. საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებებში, 196 მუხლში და მის ქვეპუნტებში, განსაზღვრულია არჩევნების შედეგად საპარლამენტო მანდატების გადანაწილება. 196 მუხლის მე-2-ე ქვეპუნქტი: „საქართველოს პარლამენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული პარლამენტი შედგება პროპორციული სისტემით არჩეული 120 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 30 პარლამენტის წევრისაგან“ (საქართველოს კონსტიტუცია); . ამავე მუხლის მე-3 ქვეპუნქტის მიხედვით, „პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგად საქართველოს პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილდება იმ პოლიტიკურ პარტიებზე, რომლებიც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების 1 პროცენტს მაინც მიიღებენ“ (საქართველოს კონსტიტუცია). შესაბამისად მე-3 ქვეპუნქტისა, კოდექსის მიხედვით ის 120 საპარლამენტო მანდატი, რომელიც სრულად კომპლექტდება პროპორციული და არა მაჟორიტარული არჩევნებით, კომპლექტდება 1 პროცენტიანი ბარიერით. შესაბამისად პროპორციული მანდატები, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად მიიღეს იმ პარტიებმა, რომლებმაც გადალახეს 1 პროცენტიანი ბარიერი. ტექნიკურად კონკრეტული პარტიის მანდატთა რაოდენობა განისაზღვრა მიღებული ხმების ნამრავლით საერთო მანდატების რაოდენობაზე და მიღებული შედეგის განაყოფი იმ ოპონენტთა საერთო ხმათა ჯამზე, რომლებმაც ერთ პროცენტიანი, მკაცრად განსაზღვრული ბარიერი გადალახეს. დანარჩენი 30 მანდატი, რომელიც საპარლამენტო არჩევნების პერიოდში მაჟორიტარული არჩევნების წესით დაკომპლექტდა, განისაზღვრა შესაბამისი ოლქების საარჩევნო შედეგებით. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის შეიქმნა 30 ერთმანდატიანი ოლქი, საიდანაც 10 თბილისს ეკუთვნოდა და დანარჩენი ოცი საქართველოს ადმინისტრაციულ საზღვრებში გადანაწილდა. 196-ე მუხლის მე-5 ქვეპუნქტით განისაზღვრა, რომ პარტიის მიერ მაჟორიტარული წესით მიღებული მანდატების პროცენტული წილი არ უნდა აღემატებოდეს პროპორციული წესით მიღებულ მანდატთა პროცენტული წილისა და მისსავე ერთი მეოთხედის ჯამს. აღნიშნული გარემოების საწინააღმდეგო შემთხვევაში საარჩევნო სუბიექტს დააკლდება გადამეტებული მანდატების რაოდენობა და გადანაწილდება პროპორციული წესით უკეთესი შედეგების მქონე სხვა საარჩევნო სუბიექტებზე.

2024 წლის საპარლამენტო არჩევნები, განსხვავებით 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისგან, სრულად პროპორციულია. შესაბამისად, ამ პერიოდისთვის სამართლებრივად გაუქმდა საარჩევნო მაჟორიტარული ოლქები და 150 მანდატიანი პარლამენტი სრულიად პროპორციული არჩევნებით დაკომპლექტდა. საარჩევნო კოდექსის 125-ე მუხლის მე-5 ქვეპუნქტის მიხედვით : „პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად მის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა მრავლდება 150-ზე და იყოფა ყველა იმ პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული ხმების ჯამზე, რომლებმაც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების 5 პროცენტი მაინც მიიღეს.“ (საქართველოს კონსტიტუცია). აღნიშნული ინფორმაციის, ფონზე პოლიტიკური სუბიექტი-პარტია იღებს იმდენ მანდატს რამდენ მთელსაც მიიღებს განაყოფში. იმ შემთხვევაში თუ 150 მანდატი რიცხობრივად არ შეივსო, დარჩენილ ადგილებს ის პოლიტიკური პარტიები გადაინაწილებენ, რომლებსაც უკეთესი შედეგი ჰქონდათ.

2020 და 2024 წლების საპარლამენტო არჩევნების შედარებითი ანალიზის ჭრილში, სამართლებრივ შინაარსთან ერთად, მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება პროცესის ტექნიკურ მხარეზე. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებთან მიმართებაში, კოდექსის მერვე თავის 58-ე მუხლში, გაწერილია ის ტექნიკური მოცემულობები, რომლებიც ტრადიციული საარჩევნო სისტემისთვისაა დამახასიათებელი. მნიშვნელოვანი მახასიათებლებია: გამჭვირვალე, დალუქული საარჩევნო ყუთი; ამომრჩეველთა სარეგისტრაციო სია, რომელის მეშვეობითაც რეგისტრატორი ამომრჩევლის ვალიდურ მონაცემებს ადასტურებდა; ბიულეტენი, რომელიც მოიცავდა როგორც პროპორციული ხმის მიცემის ნაწილს, ასევე მაჟორიტარულს; კონვერტი, სადაც ხმის დაფიქსირების შემდეგ ამომრჩეველი გადაკეცილ ბიულეტენს ათავსებდა. მნიშვნელოვანია, საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ , შემაჯამებელი ოქმის შედგენის გვარობაზე ყურადღების გამახვილება. კოდექსის 71-ე მუხლით განმარტებულია კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის გვარობა. ოქმი ივსება ხელით და სხვა სამართლებრივ აქცენტებთან ერთად, კომისიის მიერ დათვლილი საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმათა რაოდენობა აღინიშნება. 2020 წელს საქართველოს მასშტაბით რამდენიმე უბანში, ტრადიციულთან ერთად ჩატარდა სატესტო, ელექტრონული არჩევნებიც. საარჩევნო კოდექსის მე-14, მე-15 და მე-19 მუხლების მიხედვით, სამართლებრივმა ცვლილებებმა გარკვეულწილად უზრუნველყო 2020 წლის საარჩევნო პერიოდზე ზედამხედველობის ხარისხის გაუმჯობესება. „თუ ქვემდგომი საარჩევნო კომისია არ, ან ვერ ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებულ მოვალეობას, უფლებამოსილია განკარგულებით, რომელიც მიიღება სრული შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედით, უფლებამოსილება შეუწყვიტოს ამ კომისიას და შექმნას დროებითი ჯგუფი, რომელსაც კომისიის ხელახლა შექმნამდე დაეკისრება მისი უფლებამოსილების განხორციელება“ (საქართველოს კონსტიტუცია).

2024 წლის შემთხვევაში წინა, საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა. ნაშრომთან მიმართებაში უმნიშვნელოვანესი ცვლილება საარჩევნო კოდექსის 76-ე მუხლში ნათლადაა განხილული. მოცემული არჩევნებისთვის დამახასიათებელია: ელექტრონული რეგისტრაციის პროცესი; ელექტრონული ხმის მიცემის პროცესი, რომლის დროსაც ამომრჩეველი სპეციალურ ყუთში გარკვეული წესით ათავსებს ბიულეტენს; ელექტრონული-პარალელური ხმის დათვლა, რაც თავისთავად უზრუნველყოფს არჩევნების დასრულებისთანავე მიღებულ ნამდვილ ხმათა დათვლას, რომელიც თავისთავად შემდგომ კენჭისყრის ოქმში აღიბეჭდება.

საარჩევნო კოდექსში მედიის ფუნქციონირება, 2020 და 2024 წლების შემთხვევაში, 44-ე მუხლითაა განსაზღვრული. საინტერესოა ის მოცემულობა, რომ ორივე პერიოდის მიხედვით მედიის საარჩევნო ფუნქციონირებას ბევრი საერთო აქვთ. ამასთან ერთად განმასხვავებელი სამართლებრივი გარემოებებია ყურადსაღები. მნიშვნელოვნი განსხვავებები, რომლებიც 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში უფრო მკაცრ სამართლებრივ ჭრილში განსაზღვრავს მედიის წარმომადგენლისა და კენჭისყრის პროცესზე დასწრების შეუთავსებლობას. 2024 წლის კენჭისყრის პერიოდში მედიის წარმომადგენელი არ შეიძლება იყოს: სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი; საკრებულოს წევრი; მერი და მერის მოადგილე; მოსამართლე; შსს-ს და იუსტიციის სამინისტროს, უსაფრთხოების, დაზვერვის და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის წარმომადგენელი; საქართველოს პროკურატურის თანამდებობის პირი; საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატი, საარჩევნო სუბიექტი, მისი წარმომადგენელი; საარჩევნო კომისიის წევრი; დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებელი; სხვა პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენელი HTTPS://CESKO.GE/ . აქვე აღსანიშნავია ის მოცემულობა, რომ თუ 2020 წელს სამართლებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევაში საარჩევნო კომისია აძევებდა მედიის წარმომადგენელს კენჭისყრის შენობიდან, 2024 წელს ეს ფუნქცია კომისიის თავმჯდომარემ შეითავსა. აღნიშნული სამართლებრივი პროცესის უზრუნველყოფა საარჩევნო კოდექსის მერვე მუხლის მე-18 ქვეპუნქტითაა განსაზღვრული.

დასკვნა

2020 და 2024 წლების საპარლამენტო არჩევნების შედარება აჩვენებს მნიშვნელოვან ცვლილებებს როგორც საარჩევნო სისტემის, ისე პროცესის ტექნიკური უზრუნველყოფის თვალსაზრისით. 2020 წლის შერეული (მაჟორიტარულ-პროპორციული) მოდელიდან გადასვლა სრულად პროპორციულ სისტემაზე 2024 წელს, საარჩევნო სისტემის განვითარების მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს. სამართლებრივად განისაზღვრა განსხვავებული ბარიერები, მანდატების გადანაწილებისწესებიდამონაწილესუბიექტებისროლი.ტექნიკურითვალსაზრისით, 2024 წელს ხმის მიცემისა და დათვლის პროცესი ელექტრონიზებულ იქნა, რაც გავლენას ახდენს საარჩევნო პროცესის სისწრაფესა და გამჭვირვალობაზე. მედიის ფუნქციონირება ორივე პერიოდში სამართლებრივად მოწესრიგებულია, თუმცა 2024 წელს დაწესდა უფრო მკაფიო და გამკაცრებული კრიტერიუმები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.საქართველოს კონსტიტუცია. (n.d.). Retrieved დეკემბერი 25, 2024, from საქართველოს საარჩევნო კოდექსი: https://shorturl.at/YHifg

2.საქართველოს საარჩევნო კოდექსი. (2011, 12 27). Retrieved from საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: https://shorturl.at/F73fu

3.რადიო თავისუფლება. (n.d.). Retrieved იანვარი 8, 2024, from https://shorturl.at/T9OfO

4.საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია: https://cesko.ge

5.Clare Mulroy, Janet Loehrke. (2024, 06 27). How do electoral votes work? These pictures explain the Electoral College process. Retrieved 05 21, 2024, from USA Today: https://shorturl.at/Wqnfk

6.David Brown, Steven Connor, Sana Jasemi, Kevin Ponniah and Prina Shah. (2019, 04 8).

A really simple guide to India's general election. Retrieved 05 10, 2024, from BBC: https://shorturl.at/6YEAU

7.Girard, C. (2010). Acclamation Voting in Sparta: An Early Use of Approval Voting. In F. Laslier, Handbook on approval voting (pp. 15-18). Heidelberg: Springer.

აბსტრაქტი

2020 და 2024 წლების საქართველოს საპარლამენტო არჩევნები მნიშვნელოვნად განსხვავდება როგორც სამართლებრივი, ისე ტექნიკური მოწყობის თვალსაზრისით. 2020 წელს შერეული – პროპორციული და მაჟორიტარული სისტემა მოქმედებდა, მაშინ როცა 2024 წელს სრულად პროპორციულ სისტემაზე მოხდა გადასვლა. შეიცვალა ხმის მიცემის ტექნიკური მხარე. მედიის ფუნქციონირების წესი ორივე წელს სამართლებრივად რეგულირდებოდა, თუმცა 2024 წლისთვის მეტი მკაფიო კრიტერიუმი დაწესდა.

Abstract

The 2020 and 2024 parliamentary elections in Georgia differ significantly in both legal framework and technical organization. In 2020, a mixed electoral system—combining proportional and majoritarian elements—was in effect, whereas in 2024, the system transitioned to a fully proportional model. The technical aspects of voting also changed considerably. While media operations were legally regulated in both years, the 2024 elections introduced more clearly defined and stricter criteria for media participation.